ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ახორციელებს სხელფასოვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურებას:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტახსოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტახსოლოგიური ექსპერტიზა;
- ხელოვნური და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- ჯვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ისტორიული ექსპერტიზა;
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური);
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად ცავენ გაცემული დასკვნების ქეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიმაყის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

WWW.FORENSICS.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5005231117

18/09/2017 წ.

5005231117

შპს ,,არქიტექტურული ორკესტრი"-ს დირექტორს ბნ ზვიად ყვირალაშვილს

(საქართველო, ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ. #29)

ბატონო ზვიად,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2017 წლის 24 აგვისტოს რეგისტრაციის N1006326417) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005414017 დასკვნას.
დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

საპორექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა (ერთი ალბომი)

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

005414017

ექსპერტის დასკვნა № 005414017

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს არქიტექტურული ორკესტრი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, პეტრიაშვილის ქ. #29

სახელი და გვარი: ზვიად ყვირალაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

გაბრიელ ჭინჭარაული / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 43 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზა.... შპს „გეოტექსერვისი"-ს მიერ 2016 წელს ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. #2-ში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შესახებ.

შემოსვლის თარიღი: 24.08.2017წ.

გასვლის თარიღი: 17.09.2017წ

დასკვნა

შპს „გეოტექსერვისი“-ს მიერ, ქ. თბილისში ყიფშიძის ქ. #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია ძირითადად პასუხობს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების, სტანდარტების და ტექნიკური დავალების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების და ტექნიკურ ანგარიშში შესაბამისი კორექტივების შეტანის შემდეგ ის შეიძლება გამოყენებული იქნას ქ. თბილისში ყიფშიძის ქ. #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პროექტის შემდეგი ეტაპისათვის.

გაბრიელ ჭინჭარაული

გამოკვლევა

2017 წლის სექტემბერში შემოწმდა ქ. თბილისში ყიფშიძის ქ. #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოცულობის და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების, სტანდარტების და ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან.

005414017

ექსპერტის დასკვნა № 005414017

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა და ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილია შპს „ვაკე ჰილლთან“ 2016 წლის ივნისის თვეში დადებული #24.06.2016 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „გეოტექსერვისი“-ს მიერ, 2016 წლის ივნის-ივლისში. დირექტორი გ. ბენდუქიძე, პროექტის მენეჯერი გ. ტლაშაძე.

საექსპერტო ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილია ერთ წიგნად აკინძული და მოიცავს ტექსტურ ნაწილს, თანმხლებ ნახაზებს და ტექსტურ დანართებს.

ტექსტურ ნაწილში მოცემულია ტექნიკური დავალება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად 1-გვ; შპს „გეოტექსერვისი“-ს საგამოცდო ლაბორატორიის აკრედიტაციის მოწმობა - 1ფ და ცალკეულ თავებად განხილულია ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

I. ტექსტურ ნაწილი - 14გვ;

II. ნახაზები:

- ჭაბურღილის განლაგების გეგმა - 1ფ;

- ჭაბურღილის ჭრილი - 2ფ;

III. ტექსტური დანართები:

- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ჯამური ცხრილი - 1ფ;

- ძირითადი ქანის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები - 10ფ;

- ფოტომასალა - 2ფ.

საპროექტო შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

ტექსტური ნაწილის პირველი თავი წარმოადგენს შესავალს, სადაც მოყვანილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიზანი. აღნიშნულია, რომ ტექნიკური დავალების თანახმად დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე გაბურღულია ერთი 35 მ სიღრმის ჭაბურღილი. ბურღვის პროცესში ჭაბურღილიდან აღებულია გრუნტის დაუშლელი სტრუქტურის 12 ნიმუში, მათ შორის ძირითადი ქანის 5 ნიმუში. იქვე შესავლის ბოლოში ცხრილის სახით მოცემულია შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობა.

მე-2 თავში „ჭაბურღილის ბურღვა“ აღნიშნულია, რომ გეოლოგიური აგებულების, გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ერთ მთლიან უბანს. ჭაბურღილის ბურღვა ჩატარებულია თვითმავალი საბურღი დანადგარით УРБ-2А2 მექანიკური სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

აღნიშნულია, რომ სამშენებლო მოედნის ტერიტორია წარმოადგენს ხელოვნურად დამუშავებულ მოედანს. სამშენებლო მოედანზე გაბურღული #1 ჭაბურღილის პირის მიახლოებითი აბსოლუტური ნიშნული შეადგენს 477,6 მ. ჩატარებული ბურღვითი სამუშაოს და ჭაბურღილიდან აღებული გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევის მონაცემების გამოყენებით შედგენილია ჭაბურღილის ჭრილი. ჭრილის მიხედვით დაღმავალ ჭრილში მოცემულია სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური აგებულების აღწერა. გამოკვლეულ 35,0 მ სიღრმემდე მოცემულია ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის და დამყარების დონეები.

ტექსტური ნაწილის მე-3 თავში განხილულია ჭაბურღილიდან აღებული გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები. გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარებულია შპს „გეოტექსერვისი“-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

საველე და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე საკვლევ უბანზე გამოყოფილია გრუნტების 5 სახესხვაობა ანუ საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):

ს.გ.ე. 1 - ნაყარი გრუნტი თიხნარი, ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ხვინჭის, ხრეშის, ასფალტის და სამშენებლო ნარჩენების ჩანართებით.

ს.გ.ე. 2 - თიხნარი ყავისფერი, მყარი, თიხაქვიშის ლინზებით და შუაშრეებით, კარბონატული;

ს.გ.ე. 3 - თიხაქვიშა მუქი ყავისფერი, პლასტიკური, ხვინჭის და კენჭის ჩანართებით 20%-მდე.

ს.გ.ე. 4 - ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი, თხელ და საშუალო შრეებრივი, მოჟანგისფრო არგილიტების [illegible] და საშუალო და სქელშრეებრივი მოყავისფრო-ნაცრისფერი ქვიშაქვების (45%) მორიგეობა, ძლიერ დანაპრალებული [illegible]

ს.გ.ე. 5 - გამოფიტული ძირითადი ქანი, თხელ და საშუალო შრეებრივი, მოლურჯო-ნაცრისფერი არგილიტების [illegible] და საშუალო და სქელშრეებრივი მოლურჯო-მუქი ნაცრისფერი ქვიშაქვების (45%) დანაპრალებული [illegible] საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებისთვის განსაზღვრულია ბუნებრივი ტენიანობა. ტექნიკური დავალების [illegible] გამომდინარე ჩატარებულია ს.გ.ე. 5-ის ნიმუშების ერთღერძა კუმშვაზე გამოცდა ბუნებრივ და წყალნაჯერ [illegible]

საკვლევ უბანზე გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები გრაფიკულად ასახულია საკვლევ [illegible] ჭაბურღილის ჭრილზე.

ტექსტური ნაწილის შემდეგ მე-4 თავში მოცემულია საკვლევ უბანზე გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური [illegible] საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები შეჯამებულია ტექსტური ნაწილის [illegible] სადაც მოცემულია საკვლევ უბანზე გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების ჩამონათვალი.

ს.ნ. და წ. „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ს საქართველოს სეისმური საშიშროების [illegible] ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას.

მოცემულია საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების კატეგორიები სეისმური თვისებების [illegible]

ყურადღება გამახვილებულია ძირითადი ქანების შრეების და ქანების და ფერდის ზედაპირის [illegible] მართებულად შეფასებულია არახელსაყრელ ფაქტორად მშენებლობისათვის.

მოცემულია საკვლევი უბნის სირთულის კატეგორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის [illegible]

საკვლევ უბანზე გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების საპროექტო გაანგარიშებისათვის [illegible] მნიშვნელობები მოცემულია ცხრილის სახით. იმავე ცხრილში მოცემულია საკვლევ უბანზე გავრცელებული [illegible] ჯგუფების დამუშავების სიძნელის მიხედვით და ხელოვნური ფერდოების დასაშვები ქანობები.

ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ უნდა აღნიშნოს, რომ ის ძირითადად პასუხობს მოქმედი [illegible] წესების, სტანდარტების და ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, თუმცა მის მიმართ გვაქვს შენიშვნებიც.

შენიშვნები ტექნიკური დოკუმენტაციის მიმართ

1. ტექნიკური დავალება ხელმოუწერელია.

2. ტექნიკურ ანგარიშს დართული არ აქვს მიწერილობა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად ს.ნ. და წ. 3.1.19.

3. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული საკვლევ ტერიტორიაზე გასაბურღი ჭაბურღილის სიღრმე [illegible] მიზანშეწონილი იყო ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ს პ. 3.64 [illegible]37-ე ცხრილის მე-2 შენიშვნის გათვალისწინება.

4. განსაზღვრული არ არის ს.გ.ე. 5-ის სიმკვრივე, რაც მნიშვნელოვან ფიზიკურ მახასიათებელს წარმოადგენს [illegible] მაჩვენებელია კლდოვანი ქანის გამოფიტვის ხარისხის შეფასებისას.

5. განსაზღვრული არ არის ს.გ.ე. 5-ის დარბილებადობა.

6. შესრულებული არ არის ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ს პ. 3.75-ს მოთხოვნა, საჭირო იყო ს.გ.ე. 5-დან 6 ნიმუშის აღება [illegible] კუმშვაზე გამოცდა ბუნებრივ და წყალნაჯერ მდგომარეობაში და მიღებული მნიშვნელობების სტატისტიკური [illegible]

7. ტექსტური ნაწილის მე-12 გვერდზე ცხრ. 5.1. მოცემული სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობა ფაქტიურად არის [illegible] არა საანგარიშო. საჭიროა ამ ფაქტორის გათვალისწინება და ცხრილის დასახელების კერექტირება.

8. ტექნიკური ანგარიშის ტექსტსა და ჭაბურღილის ჭრილზე საჭიროა საკვლევ ტერიტორიაზე გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებისთვის სტრატოგრაფიული ინდექსების მოყვანა.

ამრიგად, შპს „გეოტექსერვისი“-ს მიერ, ქ. თბილისში ყიფშიძის ქ. #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია ძირითადად პასუხობს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების, სტანდარტების და ტექნიკური დავალების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების და ტექნიკურ ანგარიშში შესაბამისი კორექტივების შეტანის შემდეგ ის შეიძლება გამოყენებული იქნას ქ. თბილისში ყიფშიძის ქ. #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პროექტის შემდეგი ეტაპისათვის.

გაბრიელ ჭინჭარაული

გამოყენებული მასალები

შპს „გეოტექსერვისი“-ს მიერ, ქ. თბილისში ყიფშიძის ქ. #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია „ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. #2, სამშენებლო მოედანი."

გამოყენებული (ლიტერატურა , სტანდარტები , რეგლამენტები ...)

1. საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის ს.ნ. და წ. 1.02.07-87;
2. ს.ნ. და წ. შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ. 02.01-08), ს.ნ. და წ. 2.02.01-83;
3. სახ.სტანდარტი 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია;
4. სეისმომედეგი მშენებლობა ს.ნ. და წ. პნ 01.01-09.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე ატიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ექსპონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და რკ-სალებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საჯვარისფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების ფარგლებში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს კავშირები სასამართლო ექსპერტიზის ფარგლებში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, რკ-სალებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ჯვრევის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ხადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

WWW.FORENSICS.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის №2ა
2A I. Chavchavadze str., Kutaisi 4600
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. №102
102 P. Melikishvili str., Batumi, Georgia

(995 32) 225 84 84
info@expertiza.gov.ge
(995 431) 21 30 03
info@forensics.ge
(995 422) 27 94 30
info@forensics.ge

3005449717

მიღება-ჩაბარების აქტი № 3005449717

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	18/09/2017

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1006326417	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	24/08/2017	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:	2000923817	ხელშეკრულების თარიღი:	24/08/2017 - 06/10/2017
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	005414017		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	ზვიად ყვირალაშვილი
პირადი ნომერი:	01010005366
ორგანიზაცია:	შპს არქიტექტურული ორკესტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:	404981953
თანამდებობა:	დირექტორი
დოკუმენტის შემომტანი:	ზვიად ყვირალაშვილი

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)	თანხა
134. - მშენებლობის პროექტის (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) ნაწილის ექსპერტიზა (გეოლოგია, კონსტრუქცია და სხვ.)	1	500	500
			ჯამი: 500.00
			საბოლოო ფასი: 500.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):		
გაბრიელ ჭინჭარაული		
კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) მოწვეული სპეციალისტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი